01/09/2025

MES 2 25 0001109333

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.08.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00
სხდომის დასრულების დრო: 20:00
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
სხდომის მდივანი: ციური დურული - I, III, IV, V საკითხები
სხდომის მდივანი: ქეთევან ნანობაშვილი - II საკითხი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
4. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **მზია წიკლაური** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
12. **ბონდო გასვიანი -** შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
13. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
14. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
გიორგი მახარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციულ დარგში
ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის დარგში
ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ეკატერინე ფიფია - აფილირებული პროფესორი, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო, განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო და განათლების მეცნიერების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი
მაია ჩქოტუა - აფილირებული პროფესორი, მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ნიკოლოზ ფარჯანაძე - მოწვეული ლექტორი
თინათინ ხარშილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ:
ლია ანთაძე - განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
გიორგი ღავთაძე - ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით

გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით
ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:
ვახტანგ ჭარაია - ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი
თენგიზ თაქთაქიშვილი - ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
ხოსე რომერო მედარდო კორდობა - ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი:
სალომე პირველი - რექტორი
მაკა კობალავა - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ანჟელა აბულაძე - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
მარიამ რაზმაძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი
თეა თულაშვილი - ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი
სოფიო ალფაიძე - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
მაკა მურვანიძე - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი
ლია მაჭავარიანი - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ვაჟა ტრაპაიძე - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
პეტრე ბაბილუა - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
მანანა ხაჩიძე - პროგრამის განმახორციელებლი
თამარ ჭელიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
გიორგი ბრეგაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, პროგრამის განმახორციელებელი
ნინო ქიმერიძე - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი
შოთა ფოთოლაშვილი - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები
ჰითკლიფ სქემბრი (I, II საკითხები);
გიგა ხოშიტაშვილი (I, II საკითხები);
ზაქარია ქიტიაშვილი (I საკითხი);
მარიკა კირვალიძე (I საკითხი);
ირინე აბულაძე (I საკითხი);
ქრისტინე ჩიხლაძე (I საკითხი);
ტატო ლაფაური (I საკითხი);
გიორგი მერაბიშვილი (II საკითხი);
სტეფან ვეიტი (Stefan Veith) (III საკითხი);
ეკა ლეკაშვილი (III საკითხი);
ნათია სურმანიძე (III საკითხი);
მარინე ხიზანიშვილი (III საკითხი);
ნინო ტალიკაძე (III საკითხი);
გიზო უჩაიძე (III საკითხი);

ნათია დაღელიშვილი (IV საკითხი);
თამთა ცხოვრებაძე (IV საკითხი);
ნათია მაღალაშვილი (IV საკითხი);
ციცინო თურქაძე (V საკითხი);
მაია აზმაიფარაშვილი (V საკითხი);
ნინო პატარაია (V საკითხი);
თამარ თხელიძე (V საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ, ხოლო სხდომის მდივნად II საკითხზე განისაზღვრა ქეთევან ნანობაშვილი, ხოლო ყველა სხვა საკითხზე სხდომის მდივნად განისაზღვრა ციური დურული.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" ინგლისურენოვანი, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუ-ს განათლების ადმინისტრირების სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო და "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის - ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა მესამე საკითხად განხილულიყო შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის - "ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი, ხოლო, მეხუთე საკითხად, სსიპ - ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო და "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი, რადგან ეს უკავშრდებოდა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საკითხის განხილვაში საერთაშორისო ექსპერტის დასწრებას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" ინგლისურენოვანი, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუ-ს განათლების ადმინისტრირების სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის - ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო და "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **პირველი საკითხი:**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" ინგლისურენოვანი, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადება
სასწავლო მოდულები: ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო/საშუალო)
საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0188 - ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0188 - ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერება
საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0111 - განათლების მეცნიერება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 55
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარემ პირველ რიგში მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს კოლეგიალური თანამშრომლობისთვის. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი ჩატარდა 21-23 მაისს და შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ორიენტირებულია პროგრამების წინსვლასა და განვითარებაზე.
პირველი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ პროგრამათაშორისი ფორმალური მიმოხილვის განხორციელებას სწავლის შედეგების ფორმულირების რუკისა და შეფასების პროცესების შესახებ. მიზანია ვერტიკალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა მე-6-დან მე-8 დონემდე, რაც ხელს შეუწყობს კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნას საბაკალავრო დონიდან დოქტორანტურამდე და გააუმჯობესებს თანმიმდევრულობას საგანმანათლებლო კლასტერის ფარგლებში.

მომდევნო რეკომენდაციაში ყურადღება გამახვილდა კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ყოვლისმომცველ მიმოხილვასა და დახვეწაზე, რათა ისინი უფრო მკაფიოდ, თანმიმდევრულად და საგანმანათლებლო დონის შესაბამისად იყოს ჩამოყალიბებული. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტთან პირდაპირი შეკითხვები არ დასმულა, სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებამ პრობლემები მაინც გამოავლინა. აღინიშნა, რომ განსაკუთრებით სუსტი მხარეები გამოვლინდა მასწავლებლის მომზადების პროგრამაში, სადაც რეკომენდაციად იქცა პროგრამის განახლება და ძირითადი ცნებებისა და კონცეფციების სრულფასოვანი ინტეგრაცია. ასევე, რეკომენდებულია, რომ „მართვისა და შეფასების“ სავალდებულო კურსი აღარ განმეორდეს „ინსტრუქციული სწავლების დაგეგმვის“ კურსში. ცვლილებები რეკომენდებულია ზოგადი განათლებისა და ინგლისურენოვანი სწავლების მეთოდებშიც.
ბოლო რეკომენდაცია ამ პროგრამასთან დაკავშირებით ეხებოდა რეფლექსიური შეხვედრების პრაქტიკის განვითარებას აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა შესაბამისი წარმომადგენლების ჩართვით. აღინიშნა, რომ გარკვეულ დონეზე ეს პრაქტიკა უკვე არსებობს, თუმცა საჭირო არის მისი გაძლიერება.
პირველი პროგრამის განხილვისას ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესის მართვასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით უფრო ჰოლისტური მიდგომაა საჭირო.
განათლების ადმინისტრირების პროგრამები (ქართული და ინგლისურენოვანი) შეფასდა, როგორც საკმაოდ ძლიერი და ხარისხით საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებს ტოლფასი.
ქართულენოვან პროგრამასთან დაკავშირებით პირველ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პოლიტიკაზე, დიზაინზე, მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიებზე, ასევე ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიებზე.
მომდევნო რეკომენდაციები ეხებოდა აკადემიური პერსონალის შესაბამისობას პრაქტიკაზე ორიენტირებულ კურსებში (მაგ., სკოლის ადმინისტრირება), სწავლის შედეგების განაწილების გადახედვას მკაფიო და სტრუქტურირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად, სტრუქტურისა და პრაქტიკის კომპონენტის შეცვლას სექტორის სპეციფიკის გაძლიერების მიზნით, მოკლევადიან კურსებში ინტეგრირებული კომპონენტების გაძლიერებას.
მესამე პროგრამისათვის გაიცა იგივე რეკომენდაციები, რაც მეორე პროგრამისთვის, დამატებით კი ინტერნაციონალიზაციის მიზნებზე გაკეთდა აქცენტი.
მეოთხე პროგრამის შემთხვევაში, პირველ რეკომენდაციაში ხაზგასმულია მონიტორინგის ინსტრუმენტების დამატების საჭიროება, რათა პროგრამა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს მე-8 დონეს. ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებთან შესაბამისობას და კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამას. ბოლო რეკომენდაცია შეეხებოდა სტუდენტების ჩართულობის გაზრდას საერთაშორისო კვლევით პროექტებში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს ამისათვის ყველა პირობა შექმნილი აქვს, რეკომენდაცია მიზნად ისახავს სტუდენტების სტიმულირებას, რადგან არსებული რესურსი სრულად არ გამოიყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციებს დაწესებულება არ ეთანხმება, რადგან მათი დიდი ნაწილი უფრო რჩევებს წარმოადგენს და არა რეკომენდაციებს. 1.2 და 1.4 რეკომენდაციებთან დაკავშირებით დასკვნაში ხაზგასმულია: პანელი აღიარებს დაწესებულების ყოვლისმომცველ მუშაობას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ფორმულირების შესაბამისობისა და შეფასების მიმართულებით, რასაც მხარს უჭერს ბენჩმარკინგი, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ინდივიდუალური პროგრამის დონეზე გაზომვადი შედეგები აშკარაა, პანელი მიიჩნევს, რომ დამატებით ღირებულებას პროგრამათაშორისი მიმოხილვის ციკლის ფორმალიზება და

დოკუმენტირება, რათა მკაფიოდ დაისახოს ვერტიკალური პროგრესია, კონცეპტუალური ჩარჩოები და მე-6, მე-7 და მე-8 დონეებს შორის სასწავლო გეგმის სისტემატური რუკები. ამიტომ ეს რეკომენდაცია შენარჩუნებულია შესწორებული სახით, რათა ერთდროულად აღიაროს არსებული ძლიერი მხარეები და წაახალისოს შემდგომი გაუმჯობესება.

მსგავსი ინფორმაცია მოცემულია დასკვნის 29-ე გვერდზეც. რეკომენდაციათა უმრავლესობა შენარჩუნებულია, როგორც „საზედამხედველო ღონისძიება“ პროგრამის გაძლიერების მიზნით.

სწავლის შედეგებთან დაკავშირებით თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეკომენდაცია გაიცა მათი ფორმულირების გაუმჯობესების მიზნით, რათა ისინი ჩამოყალიბდეს გაზომვადი ზმნებით. ნინო ჯოჯუამ ხაზი გაუსვა, რომ ყველა პროგრამის შედეგი უკვე ჩამოყალიბებულია ბლუმის ტაქსონომიის გაზომვადი ზმნებით და შეესაბამება შესაბამისი დონის აღწერებს. დასკვნაშიც თავად ექსპერტებს აქვთ აღნიშნული, რომ არსებული პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს. მიუხედავად ამისა, რეკომენდაცია ძალაში რჩება წახალისების მიზნით.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით რეკომენდაცია ეხება სტუდენტების წახალისებას საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. კერძოდ, რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო ინიციატივებში (გაცვლით პროგრამებში, კვლევით პროცესებში) სტრუქტურირებული ღონისძიებების მეშვეობით და არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებით. ამასთან, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ისინი სრულად აღიარებენ და აფასებენ უკვე არსებულ ღონისძიებებს დოქტორანტების საერთაშორისო ჩართულობის წახალისების მიზნით, მათ შორის: გრანტების კონკურსებში მონაწილეობა, კონფერენციებზე წარდგენა და საერთაშორისო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნება, რაც სავალდებულო მოთხოვნაა პროგრამაში. საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტის ინტეგრაცია და დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი გრანტის განაცხადის წარდგენის მოთხოვნა მნიშვნელოვანია, რადგან ეს ზრდის საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობას. შესაბამისად, რეკომენდაცია უფრო მომავალზეა ორიენტირებული. დაწესებულება ამ რეკომენდაციებს არ იზიარებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ფიფიამ სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მონიტორინგის მექანიზმები საკმაოდ ძლიერია: სტუდენტები მესამე სემესტრიდან იწყებენ თემის დამტკიცების პროცედურას; ეთიკის დაცვის კომისია ამტკიცებს კვლევის დიზაინს; ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტი ვალდებულია წარადგინოს პრეზენტაცია სადისერტაციო საბჭოს წინაშე, საბჭო კი აძლევს რეკომენდაციებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგ პრეზენტაციაში. გარდა ამისა, ფუნქციონირებს შიდა მონიტორინგის ფორმები, რომლებიც ივსება როგორც ხელმძღვანელების, ისე სტუდენტების მხრიდან. ყველა დოქტორანტს ჰყავს ერთი ქართველი და ერთი უცხოელი ხელმძღვანელი. ასევე არსებობს ავტონომიურობის ფორმები: ყოველ აკადემიურ წელს დოქტორანტი ავსებს მოკლე ანგარიშს თავისი სამეცნიერო-აკადემიური აქტივობების შესახებ.

აღინიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამები ამზადებს ადმინისტრატორებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლებისთვის. ყველა სავალდებულო კურსი სრულად ხორციელდება. სტუდენტს მესამე სემესტრში 40 საკონტაქტო საათი აქვს პრაქტიკის ნაწილში შესასრულებელი, სულ — 120 საათი სამ სხვადასხვა პრაქტიკის ობიექტში. დაწესებულება ამ ნაწილში ექსპერტთა შენიშვნას არ ეთანხმება. გაუგებრად დარჩა განათლების პოლიტიკის სილაბუსთან დაკავშირებული რეკომენდაციებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჩქოტუამ 1.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს უფრო რჩევაა, რადგან აღნიშნული საკითხები რეალურად ისწავლება დაწესებულებაში, რასაც დასკვნაშიც ადასტურებენ ექსპერტები. კლასის მართვისა და მეთოდების ცალკე საგნებად არსებობა დადებითად შეფასდა, თუმცა ექსპერტთა აზრით, სასურველია, მათი დუბლირების თავიდან აცილება „სასწავლო პროცესის დაგეგმვის“ კურსში, რომელიც TKT-ის (კემბრიჯის გამოცდის) მოსამზადებელ კურსს წარმოადგენს. დაწესებულება

ამზადებს სტუდენტებს ამ გამოცდისთვის, რათა მათ მეტი შანსი ჰქონდეთ დასაქმებაზე უცხოეთში.
ასევე, ყურადღება გამახვილდა რეფლექსიური შეხვედრების პრაქტიკის შესახებ რეკომენდაციაზე. ითქვა, რომ უნივერსიტეტში მსგავსი შეხვედრები ტარდება, თუმცა ექსპერტთა აზრით, საჭიროა მათი რაოდენობის გაზრდა და დოკუმენტირება. დაწესებულება ამ რეკომენდაციას რჩევად მიიჩნევს, რომელსაც გაითვალისწინებს, თუმცა არა სავალდებულო რეკომენდაციად.
ნინო ჯოჯუამ ხაზი გაუსვა, რომ შემუშავებული მასწავლებლის მომზადების პროგრამა სრულად აკმაყოფილებს დარგობრივ დოკუმენტს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ 1.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს საკითხი ვიზიტის დროს საერთოდ არ განხილულა. მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში დეტალურად იყო განხილული, რეკომენდაცია მაინც დარჩა. მისი თქმით, სტუდენტი მეორე კვირიდანვე ეცნობა განათლების პოლიტიკის როლს ფუნქციონალისტური მიდგომის ჭრილში და მას სთავაზობენ კრიტიკულ ანალიზს. პროგრამაში პოლიტიკის ანალიზი ორ პერსპექტივას მოიცავს. სამართლებრივი აქცენტები კი მხოლოდ ერთ კვირას ეხება. განათლების პოლიტიკა არ არის იზოლირებული ცნება. შესაბამისად, მისი განხილვისას საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა აუცილებელია. რეკომენდაციაში საუბარია პრაქტიკულ მიდგომებზეც და ყველა კვირაში (პირველისა და ბოლოს გარდა) ცალკე სემინარია გამოყოფილი, სადაც პრაქტიკული სავარჯიშოებია გათვალისწინებული.
საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მტკიცებულებებზე დაყრდნობით გაიცა და მათი მიზანია პროგრამის განვითარება, და არა აკრედიტაციის გაცემის საკითხი.
ნიკოლოზ ფარჯანაძემ ექსპერტის პოზიცია უცნაურად შეაფასა და აღნიშნა, რომ თუ რეკომენდაციის შესრულების კონკრეტული ინსტრუქცია არ არის მოცემული დასკვნაში, მისი გაზიარება რთულია.
ექსპერტმა, მარიკა კირვალიძემ მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მომავალმა მასწავლებელმა უნდა იცოდეს დიფერენცირება და რემედიაცია, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ საკითხების ინტეგრაცია სხვა სილაბუსებშიც. განათლების ადმინისტრირების პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა გუნდი დაეყრდნო პრაქტიკის სილაბუსს, სადაც მითითებულია 8 საკონსულტაციო და 40 არასაკონტაქტო საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა ექსპერტთა ჯგუფს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით დაუსვა კითხვა. იგი დაინტერესდა, რა პრობლემები იყო მათ მიერ გამოვლენილი, რადგან პროგრამა, ზოგადად, საკმაოდ კარგად არის შედგენილი.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ რიგ შემთხვევებში სწავლის შედეგები სათანადოდ ვერ მოდის შესაბამისობაში საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონეებთან. სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ მათ შორის არ იყო საკმარისი ცოდნა სწავლის დონეების განსხვავების შესახებ.
ექსპერტმა მარიკა კირვალიძემ აღნიშნა, რომ პრობლემური იყო სწავლის შედეგების ფორმულირება გაზომვადი ზმნების გამოყენებით. ზოგიერთ სილაბუსში შედეგები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ საჭირო გახდა მათი რეკომენდაციის სახით წარმოდგენა. მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან მიმართებით კი მან ხაზი გაუსვა, რომ შეფასების კომპონენტში გათვალისწინებული იყო კვლევასთან დაკავშირებული კურსი, თუმცა აკლდა კურსი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით, რის გამოც გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

ციური დურულმა კვლავ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს განათლების ადმინისტრირების კურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაში სამართლებრივი საკითხების სიჭარბეა. მას აინტერესებდა, რატომ იქცა ეს საკითხი რეკომენდაციად და არა რჩევად.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ნაწილი რეკომენდაციის მხოლოდ ერთი კომპონენტია და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია რჩევის სახით გადატანა. დაწესებულების წარმომადგენელი, ნიკოლოზ ფარჯანაძე ამ პოზიციას არ დაეთანხმა, რადგან სამართლებრივ საკითხებს მხოლოდ ერთი კვირა ეთმობა, თუმცა ისინი წარმოადგენს განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველსა და წინაპირობას. ექსპერტმა ირინა აბულაძემ აღნიშნა, რომ საუბარი იყო იმაზე, რომ თუ საჭიროა თემის შემცირება მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის გაძლიერების მიზნით, ეს შესაძლოა სწორედ სამართლებრივ საკითხებს შეეხოს.
საბჭოს წევრმა ვლადიმერ ადეიშვილმა მასალების მომზადებასთან დაკავშირებით კითხვები დასვა. მისი თქმით, გაურკვეველია, რატომ ეძლევა პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მხოლოდ ინგლისური ენის ბაკალავრის კურსდამთავრებულებს და რატომ არ სთავაზობს დაწესებულება სხვა ფილოლოგებს მასწავლებლის კვალიფიკაციის მოპოვების შესაძლებლობას. დამატებით, ის დაინტერესდა საგნის სწავლების მეთოდიკის შინაარსით. ასევე, აღნიშნა, რომ სასკოლო პრაქტიკა I-ის სილაბუსში ტექნიკური ხარვეზია: დაშვების წინაპირობად მითითებულია წინა სემესტრის კურსების ათვისება, რაც საჭიროებს გასწორებას.
პრაქტიკის ნაწილთან დაკავშირებით მან დააზუსტა, რომ დოკუმენტში მითითებულია მე-11 კვირაში გაკვეთილის ჩატარება მასწავლებელთან ერთად და დაინტერესდა, რეალურად ასრულებდა თუ არა სტუდენტი ამ პროცესს მასწავლებლის თანდასწრებით. ასევე, პრაქტიკა II-ის ფარგლებში, მეცხრე და მეათე კვირებში ხდება გაკვეთილის ჩატარება, რის გამოც იკითხა, არსებობდა თუ არა ვალდებულება, სტუდენტს რომელ საფეხურზე უნდა ჩაეტარებინა გაკვეთილი, და ჰქონდა თუ არა მას შესაძლებლობა, ორ დამოუკიდებელ გაკვეთილზე მეტიც ჩაეტარებინა.
დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ჩქოტუამ განმარტა, რომ ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს დაწესებულება სთავაზობს დამატებით მასწავლებლის მომზადების პროგრამას, რის გამოც სილაბუსში განსაზღვრულია, რომ ყველა წინა კურსი მათ დასრულებული უნდა ჰქონდეთ. რაც შეეხება პრაქტიკას, სტუდენტები გაკვეთილს ატარებენ როგორც დამოუკიდებლად, ისე მასწავლებელთან ერთად. ჯამში, ისინი ატარებენ 10 გაკვეთილს, რომელიც თანაბრად იყოფა აქტიურ და პასიურ კომპონენტებად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:47
დასრულების დრო: 14:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 14 აგვისტომდე) 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.

2. მეორე საკითხი:
შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუ-ს განათლების ადმინისტრირების სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამისდასახელება: განათლების ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0188 - ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ციური დურულმა და ბონდო გასვიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, ჰითკლიფ სქემბრიმ აღნიშნა, რომ 20 მაისს დაწესებულებაში გაიმართა ვიზიტი, რის შედეგადაც შემუშავდა რეკომენდაციები. პირველი რეკომენდაციის თანახმად, აუცილებელია სწავლის შედეგების დაგეგმვის პროცესში ყველა შესაბამისი პირის ჩართვა და მათთვის ინფორმაციის ეფექტური მიწოდება, ვინაიდან ინტერვიუდან მიღებული მონაცემებით გამოვლინდა არასაკმარისი ინფორმირებულობა. შემდეგი რეკომენდაცია ეხება არჩევითი ბლოკის კურსების გადახედვას, მინიჭებული კრედიტების რაოდენობის შეფასებასა და საჭირო ცვლილებების განხორციელებას. გარდა ამისა, რეკომენდებულია კურსის *„კურიკულუმისშემუშავებისადაგანვითარების“* მიზნების, შინაარსისა და მიღწევადობის გადახედვა. კრედიტების ცვლილების საფუძველზე მიზანშეწონილია კურსის გაყოფა ორ ნაწილად და ამ ფორმატით პროგრამაში ინტეგრირება. ასევე, რეკომენდებულია ფორმალური მექანიზმის დანერგვა, რომელიც სტუდენტს დაეხმარება შეძენილი უნარების გაანალიზებაში, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებასა და კარიერისთვის მზადყოფნაში. გარდა ამისა, რეკომენდებულია აკადემიური პერსონალისთვის სტრუქტურირებული პედაგოგიური/ანდრაგოგიური განვითარების სქემის შემუშავება, რომელიც ფოკუსირებული იქნება სტუდენტზე ორიენტირებულ სტრატეგიებზე, ხელს შეუწყობს აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებას და პრაქტიკული ამოცანების ეფექტურ ინტეგრირებას სამაგისტრო საფეხურზე. მესამე სტანდარტში გაიცა ერთი რეკომენდაცია: სტუდენტებისთვის გაცვლითი შესაძლებლობების ხელშეწყობა და მათი აქტიური ჩართულობის წახალისება.
მეოთხე სტანდარტის ფარგლებში რეკომენდებულია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი განათლებაში ან მომიჯნავე სფეროებში. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება პროფესორებთან შეხვედრებს და მათ რეზიუმეებს. ასევე, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს იმ ხელმძღვანელი პერსონალის წილი პროგრამაში, რომელიც აქტიურად ჩართულია განათლებისა და განათლების პოლიტიკის მიმართულებით მიმდინარე კვლევებში, რაც უნდა დასტურდებოდეს უახლესი პუბლიკაციებითა ან დაფინანსებული პროექტებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნონა ზუმბაძე პირველ რიგში მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისა და ღირებული რეკომენდაციებისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება თითქმის ყველა რეკომენდაციას

ეთანხმება და იზიარებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე. ნონა ზუმბაძის თქმით, ინსტიტუცია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებულ პირს აქტიურად აერთიანებს. გარდა ამისა, სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს მრავალფეროვანი კურსები და ტრენინგები. პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით, სადაც მითითებული იყო არჩევითი კურსების კრედიტებისა და საათების დაკონკრეტების საჭიროება, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა. ასევე, იზიარეს კურიკულუმთან დაკავშირებული რეკომენდაცია: კურსი გაიყო ორ ნაწილად – *„კურიკულუმის შემუშავებადაგანვითარება I“* და *„კურიკულუმისშემუშავებადაგანვითარება II“*. პირველ ნაწილში გათვალისწინებულია სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო საკითხები, ხოლო მეორეში – პროფესიული და უმაღლესი განათლების თემატიკა.
რაც შეეხება სწავლა-სწავლების მეთოდებს, ნონა ზუმბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ორიენტირებულია პროფესორებისათვის პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავებასა და მათთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებაზე. თუმცა, უნივერსიტეტი ამ მიმართულებით, ასევე, გააძლიერებს საქმიანობას და გაითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციას. ადამიანური რესურსების კუთხით, ნონა ზუმბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს 11 აკადემიური და 12 მოწვეული პერსონალი. 11 აკადემიურ პირთაგან 5 დოქტორის ხარისხის მქონეა. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება ვერ იზიარებს. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია დაწესებულების პოზიცია და მათი მზადყოფნა, გაითვალისწინონ წარმოდგენილი რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქეთევან ნანობაშვილმა ექსპერტთა ჯგუფს მიმართა 1.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით. კერძოდ, მას აინტერესებდა, თუ რატომ გახდა აუცილებელი, რომ აღნიშნული საკითხი რეკომენდაციად ჩამოყალიბებულიყო, მაშინ როდესაც დაწესებულება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია. საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტებს ჩატარებული ჰქონდათ შეხვედრები სტუდენტებთან და ლექტორებთან. მისი თქმით, უნივერსიტეტი მართლაც ახორციელებს ღონისძიებებს ამ მიმართულებით, თუმცა სწორედ ამიტომ არის რეკომენდაციაში ხაზგასმული, რომ საჭიროა პროცესის უზრუნველყოფა და მეტად გაძლიერება. რჩევის სახით საკითხი არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან არსებული პრაქტიკა სრულყოფილად ვერ მოიაზრება. შესაბამისად, რეკომენდაციის მიზანია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე თანაბრად, სიღრმისეულ და კონცეპტუალურ დონეზე იყოს ინფორმირებული და ჩართული, რისთვისაც დამატებითი მუშაობაა საჭირო. ვლადიმერ ადეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას სასწავლო კურსთან დაკავშირებით – „პროექტი საგანმანათლებლო დაწესებულებასთან“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ვალდებულია წარადგინოს ჯგუფური პროექტი. მას აინტერესებდა, კონკრეტულად რას გულისხმობს აღნიშნული აქტივობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსი არის 9 კრედიტიანი და მოიცავს 40 ქულიან საბოლოო შეფასებას. იგი ოთხივე საფეხურს მოიცავს და ხორციელდება 4 აკადემიური პერსონალის მიერ, რომლებიც, საბოლოოდ, ერთობლივად აფასებენ სტუდენტის მიერ წარდგენილ ნამუშევარს. ჯგუფი დამოუკიდებლად ირჩევს თემას, რომელსაც 13 კვირის განმავლობაში სწავლობს და ამზადებს პროექტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:23

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუ-ს „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 14 აგვისტომდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუ-ს „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

3. მესამე საკითხი:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის “ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის 1 - ის დასახელება: ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 192
სტატუსი: ახალი

პროგრამის 2 - ის დასახელება: ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 192
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა მზია წიკლაურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, სტეფან ვეიტი პირველ რიგში მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში განხორციელდა „ხელოვნური ინტელექტისა და ბიზნესში პროგრამირების“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების გარე შეფასება. ვიზიტი გაიმართა 26–27 ივნისს, ხოლო 11 ივლისისთვის უკვე მზად იყო პირველი პროექტი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე პროგრამებს ჯერ არ ჰყავთ სტუდენტები, რის გამოც მათი სრულფასოვანი შეფასება გარკვეულ სირთულესთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, პროგრამების ზოგადი შეფასება დადებითია. ექსპერტების მიერ გაიცა 14 რეკომენდაცია და 3 რჩევა. სტანდარტი 1.2-ის ფარგლებში რეკომენდებულია, რომ სასწავლო შედეგები შეესაბამებოდეს ბლუმის ტაქსონომიას, ხოლო თითოეული კურსის სასწავლო შედეგები თანხვედრაში იყოს პროგრამის საერთო სასწავლო შედეგებთან. ასევე რეკომენდებულია, გაერთიანდეს „ინფორმაციული ტექნოლოგიები 1“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიები 2“, ვინაიდან ერთ-ერთ კურსში გათვალისწინებული კომპეტენციები (როგორიცაა Word და Excel-ის ცოდნა) მოსალოდნელია, რომ სტუდენტებს უკვე ექნებათ, ან საჭირო დონეზე საკმაოდ სწრაფად დაეუფლებიან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მალევე იწყება პროგრამირების სიღრმისეული თემები. შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდება კურსების წინაპირობებსა და არჩევით საგნებს. მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტის მონაცემების მართვა და მონაცემთა დიზაინი“ რამდენიმე სავალდებულო კურსის წინაპირობაა, რის გამოც რეკომენდებულია თანმიმდევრობა ისე შეიცვალოს, რომ აღნიშნული არჩევითი კურსი გახდეს სავალდებულო, ან გაუქმდეს მისი სტატუსი როგორც წინაპირობა. გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსების კრედიტების რაოდენობა თანხვედრაში იყოს კომპონენტში მისაღებ კრედიტებთან, რაც გაამარტივებს სასწავლო პროცესს და თავიდან ააცილებს კრედიტების არათანმიმდევრულ განაწილებას. აღნიშნულ საკითხზე ადმინისტრაციასთანაც გაიმართა საუბარი. გამოითქვა მოსაზრება, რომ სტუდენტებს შეეძლოთ დამატებითი საფასურის გადახდის ფასად აეღოთ მეტი კრედიტი, თუმცა ეს მიუღებლად შეფასდა, ვინაიდან გაზრდიდა როგორც მათ ფინანსურ, ისე აკადემიურ დატვირთვას. მით უმეტეს, რომ სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 13 კრედიტი და არა 14 ან 15. შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება ეს კრედიტები დამატებითი ხარჯებისა და დატვირთვის გარეშე აიღონ. ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით რეკომენდებულია, რომ ბიუჯეტში ასახული

იყოს როგორც შემოსავლები და ხარჯები, ისე მოსალოდნელი სტუდენტების რაოდენობა, რათა პროგრამის განხორციელება მოხდეს ფინანსური ზარალის გარეშე. მართალია, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაფინანსება სხვა პროგრამებიდანაც მოხდებოდა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინფორმაცია ექსპერტებსაც მიეწოდოს. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას, რეკომენდებულია, რომ მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი შესაბამის საგანმანათლებლო დარგში ან სხვა სფეროში სულ მცირე ხუთწლიანი პროფესიული გამოცდილებით, რადგან ბაკალავრის ხარისხი საკმარისად არ მიიჩნევა. ექსპერტები შეხვდნენ კოლეგებს, რომლებიც სხვა სფეროს წარმომადგენლები იყვნენ და ეს მისაღებად შეფასდა იმ პირობით, თუ მათ გააჩნდათ ხანგრძლივი და რელევანტური პროფესიული გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ჭარაიამ აღნიშნა, რომ პროგრამების მიმართ 14 რეკომენდაცია გაიცა და მისი აზრით, რეკომენდაციების რაოდენობა გარკვეულწილად გადაჭარბებულია, რადგან ზოგიერთი მათგანი შეიძლება რჩევების ფორმატში წარმოჩენილიყო. მან, ასევე, ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებას არ მიეცა შესაძლებლობა, საბჭოსთვის წერილობითი პოზიცია წარედგინა, გამომდინარე იმ შეთანხმებული ვადებიდან, რაც დადგენილი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა თენგიზ თაქთაქიშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება მუდმივად იყენებს ბლუმის ტაქსონომიას. ინტერვიუს დროს კითხვა გაჩნდა ერთ კონკრეტულ სილაბუსთან დაკავშირებით („ფინანსური აღრიცხვა 2“). ინგლისურ ვერსიაში გამოყენებული იყო ზმნა execute, თუმცა პროგრამის შედეგებში იგი არ აისახებოდა. რეალურად, ქართულ ვერსიაში ეწერა „ახორციელებს შუალედური ბალანსის შედგენას“, უბრალოდ თარგმანი იყო არასწორად შესრულებული. რაც შეეხება ტექნოლოგიის კურსებს, თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ სტუდენტს უკვე აქვს word-ისა და excel-ის ცოდნა, თუმცა მათი რაოდენობა დიდი არ არის. სწორედ ამიტომ დაწესებულება თვლის, რომ „ტექნოლოგიები 1“ და „ტექნოლოგიები 2“ ცალ-ცალკე უნდა ისწავლებოდეს: პირველ შემთხვევაში – Word და PowerPoint, ხოლო მეორეში – Excel. მისი თქმით, Excel განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პროგრამაა და დაწესებულება ამ კომპონენტში კომპრომისზე ვერ წავა. ამასთან, აუცილებელია სტუდენტების ნაწილმა აითვისოს Word-ისა და PowerPoint-ის საფუძვლები , რათა შეძლონ რეფერატებისა და სხვა სასწავლო დავალებების შეუფერხებლად შესრულება. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება დაეთანხმა. ასევე აღინიშნა, რომ შეცდომით იყო მითითებული, თითქოს ხელოვნური ინტელექტის არჩევითი კურსი („მონაცემების მართვა და დიზაინი“) რიგი სასწავლო კურსების წინაპირობას წარმოადგენდა. რეალურად, პროგრამაში განსაზღვრულია, რომ ყველა ამ კურსის წინაპირობა უნდა იყოს „ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები“, რომელიც სავალდებულო კომპონენტშია. ეს საკითხი გასაუბრების დროსაც დაფიქსირდა. ვიზიტისას ისიც განიხილეს, თუ როგორ განისაზღვრება კრედიტები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კრედიტები არ ეფუძნება მხოლოდ კურსების კომბინაციას, არამედ ითვალისწინებს კვლევას იმის შესახებ, თუ რამდენი საათი სჭირდება საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტს კონკრეტული საგნის დასაძლევად. სწორედ ამაზე დაყრდნობით განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა. მაგალითად, 13 კრედიტი მინიმუმია, რასაც უნივერსიტეტი ითხოვს ამ კომპონენტში, თუმცა სტუდენტს სურვილის შემთხვევაში შეუძლია 15 კრედიტის არჩევაც. პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ დოკუმენტში გათვალისწინებულია 25 სტუდენტზე გათვლილი მოდელი, რაც საშუალო რაოდენობაა, როცა პროგრამა არც მოგებაზეა და არც წაგებაზე. დაწესებულება აცნობიერებს, რომ პირველ წელს შეიძლება სტუდენტთა რაოდენობა 25-მდე არ ავიდეს, თუმცა სტრატეგიული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, პროგრამამ არ უნდა იმუშაოს წაგებით.

მოწვეული პერსონალის საკითხზეც გაკეთდა განმარტება: ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის პოვნა საქართველოში რთულია, ამიტომ დაწესებულებამ აქცენტი გააკეთა პრაქტიკულ გამოცდილებაზე. ამ ეტაპზე ჩართულია ორი ლექტორი ბაკალავრის ხარისხით, თუმცა ერთს აქვს 19-წლიანი გამოცდილება, მათ შორის 16 წელი ამერიკის საელჩოში, სადაც ბოლო ხუთი წელი პროცესების ავტომატიზაციას ხელმძღვანელობს. მეორეს კი 14-წლიანი გამოცდილება აქვს ტექნოლოგიებში მუშაობის. აქედან გამომდინარე, დაწესებულება დიდ ყურადღებას უთმობს პრაქტიკულ კომპონენტს. რაც შეეხება 4.3 რეკომენდაციას, დაწესებულებას აქ ძალიან დაბალი შეფასება ჰქონდა, თუმცა უკვე შემუშავებულია ორი სილაბუსი – „მკვლევარის სამეცნიერო პროდუქტიულობა“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდები“. მათი თემატიკა ეფუძნება პერსონალის საჭიროებების კვლევას. აკადემიური წლის განმავლობაში ყოველ მეორე პარასკევს, საღამოს 7 საათზე, ტარდება უწყვეტი ტრენინგები პერსონალისთვის. გარდა ამისა, დაწესებულება უკვე სამი წელია თანამშრომლობს ტეხასის უნივერსიტეტთან, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ტრენინგებს. დანარჩენ რეკომენდაციებს დაწესებულება სრულად ეთანხმება.

საბჭო თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ქეთევან ნანობაშვილმა „საინფორმაციო ტექნოლოგიების 1-2-ის“ გაერთიანებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის ეთანხმება ექსპერტებს რეკომენდაციაში, რადგან თითოეული საკითხი სილაბუსებში გაწელილია და ამ ყველაფრის დაძლევა ერთი კურსის ფარგლებშიც შესაძლებელია. პროგრამის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნური ინტელექტი და ბიზნესში“ ითვალისწინებს ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტების მომზადებას პროგრამირებასთან და ბიზნესთან ერთად თანამედროვე შრომითი ბაზრისთვის. თუმცა, უნივერსიტეტი არ ამზადებს AI სპეციალისტებს, ამიტომ აღნიშნული ჩანაწერი შესაძლოა დამაბნეველი აღმოჩნდეს აბიტურიენტებისთვის. რაც შეეხება პროგრამის მიზნებს, მეორე მიზანში ვკითხულობთ: „შესძინოს სიღრმისეული ცოდნა მენეჯერული როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ“. ასეთი სიღრმისეული ცოდნა უნივერსიტეტში მაგისტრატურის დონეზე მიიღება, ამიტომ ქეთევან ნანობაშვილს აინტერესებდა, განიხილეს თუ არა ეს საკითხები ვიზიტის დროს. გარდა ამისა, სათაურში არის მითითებული ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება, რაც შედეგებშიც აისახება, თუმცა მიზანში არ ჩანს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი ამ ტიპის სპეციალისტად ყალიბდება. ის დაინტერესდა განიხილეს თუ არა ეს საკითხები ექსპერტთა შეხვედრაზე და რა არგუმენტით დაწესებულებამ საკუთარი პოზიცია წარმოადგინა.

თენგიზ თაქთაქიშვილმა პროგრამის ჩანაწერთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები და პროგრამირება ბიზნეს პროცესების მართვისთვის. შესაბამისად, თუ პროგრამის აღწერაში ეს დაბნეულობას იწვევს, დაწესებულება მზად არის აღნიშნული საკითხი გამოასწოროს. რაც შეეხება მიზნებს, მიზანში ნათქვამია, რომ სტუდენტები აღჭურვილნი იქნებიან ტექნოლოგიური ცოდნითა და უნარებით, რათა გამოიყენონ თეორიები და ინსტრუმენტები ადამიანური რესურსების მართვისთვის. აქ კონკრეტულად არ არის აღნიშნული ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება, თუმცა ტექნოლოგიურ უნარებში ეს იგულისხმება. პირველ მიზანშიც წერია, რომ სტრატეგიები და რესურსები გამოიყენება ბიზნეს ტექნოლოგიების ოპტიმიზაციისთვის, რაც, ფაქტობრივად, მოიცავს ხელოვნური ინტელექტისა და პროგრამირების გამოყენებას. ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება დაწესებულებას, რადგან კვალიფიკაციიდან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტი განიხილება როგორც ბიზნეს-პროცესების ანალიზის და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტი. თენგიზ თაქთაქიშვილმა განაცხადა, რომ მაგისტრატურის დარგობრივი მახასიათებლით სიღრმისეული ცოდნა ეხება მენეჯერულ როლებსა და პასუხისმგებლობებს. მისი აზრით, ბიზნესის მიმართულებით სტუდენტებს ეს ცოდნა მიეცემათ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული კურსების გავლით, განსაკუთრებით ახალ პროგრამაში, სადაც ინტეგრირებულია თანამედროვე

ტექნოლოგიები. ციური დურულმა ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით იკითხა, თუ რატომ 25 სტუდენტი განიხილება როგორც რენტაბელობის ზღვარი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 25 სტუდენტი აუცილებელია ხარჯების გაწონასწორებისთვის, რათა პროგრამა საკუთარი რესურსებით იარსებოს. ციური დურულმა ექსპერტებს ჰკითხა, რა პრობლემა დაინახეს, რის გამოც ბიუჯეტის საკითხი მკაცრად შეფასდა. ნათია სურმანიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაისვა კითხვა, რამდენ სტუდენტზე დაწესებულებას არ უღირდა პროგრამის გახსნა და დასახელდა 25-ზე ნაკლები რაოდენობა. გიგა თვაურმა აღნიშნა, რომ ხელოვნური ინტელექტი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის ეფექტურ გამოყენებას შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს, თუმცა მუშაობა აუცილებელია. ირინა ლობჟანიძემ იკითხა, მოწვეული პერსონალიდან რამდენს აქვს 5 წელზე ნაკლები პროფესიული გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა პროფესორებსა და ლექტორებს, რომელთაც სხვა სფეროში აქვთ მუშაობის გამოცდილება. თენგიზ თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ კანონით დაწესებულებას არ ეკისრება ვალდებულება, ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე ლექტორი მიიღოს მოწვეულად. ჟოზე მედარდომ დაამატა, რომ 2008 წლიდან მუშაობს შესაბამის სფეროში და მისთვის ასეთი გადასვლა მოსახერხებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ იურისპრუდენციის მიმართულება ჰქონდა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა ჰკითხა დაწესებულებას ტრენინგების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა ექსპერტების აზრი, თუ, როგორ უნდა განისაზღვროს დამაკმაყოფილებელი რაოდენობა, რა შემთხვევაში იქნება საკმარისი. ასევე დაინტერესდა, რეკომენდაცია ინგლისური ენის დონესთან დაკავშირებით მხოლოდ იმიტომ იყო გაცემული, რომ ვიზიტზე ინტერვიუ ქართულად წარიმართა, თუ სხვა არგუმენტიც არსებობდა. ექსპერტმა ნათია სურმანიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა გუნდმა დეტალურად შეისწავლა ინფორმაცია და ტრენინგების მოცულობა ადეკვატურად შეაფასა, რადგან პროგრამა მულტიდისციპლინარულია. პრობლემა იყო რამდენიმე CV-თან დაკავშირებით, სადაც იყო მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი და პროფესიული გამოცდილება არ იყო მითითებული. მსგავსი პრობლემა იყო ინგლისურ ენასთან დაკავშირებითაც – ზოგი ლექტორი ჩართულია ინგლისურენოვან პროგრამაში, მაგრამ საკითხავია, რამდენად შეუძლიათ შესაბამის დონეზე მეტყველება. თენგიზ თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიული განვითარების ხელმძღვანელობით ყოველ მეორე კვირას ტარდება ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, სილაბუსები შეიქმნა მათი საჭიროებებიდან გამომდინარე („სწავლის თანამედროვე მეთოდები“ და „მკვლევარის სამეცნიერო პროდუქტიულობა“), ტრენინგები მთელი აკადემიური წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს. ინგლისურ ენასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ლექტორებმა ინგლისურ ენაზე დასმულ კითხვებს უპასუხეს ინგლისურად, ქართულ ენაზე – ქართულად. მოგელი შენგელიამ აღნიშნა, რომ ახალმოწვეულებისთვის უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი პროგრამა, სადაც ყველა ახალმოწვეულს უტარდება ტრენინგები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს ხარჯავს პერსონალის პროფესიული კომპეტენციების ასამაღლებლად. დავით კაპანაძემ აღნიშნა, რომ ქართულენოვან პროგრამაში ტერმინოლოგია საკმაოდ ბევრია, რაც ხარისხს უკარგავს პროგრამას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:49
დასრულების დრო: 17:41

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 1 მარტამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 1 მარტამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 1 მარტამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 1 მარტამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

4. მეოთხე საკითხი:

შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა, მან გამოგზავნა თავისი მიგნებები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც სხდომაზე თარჯიმანმა გააჟღერა. ჯგუფის შეფასების, მათ შორის, თვითშეფასების მასალების, ვიზიტის, და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებების საფუძველზე, პროგრამის შეფასების შედეგები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით: 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომელიც შესაბამისობაშია კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერებთან. შემდგომი დახვეწის შემთხვევაში, კიდევ უფრო გაძლიერდება განსაზღვრულ შედეგებსა და შეფასების პრაქტიკას შორის შესაბამისობა. 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სწავლების მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო დონეს, სასწავლო ღონისძიებები კარგად არის სტრუქტურირებული და არსებობს სტუდენტთა მიღწევების შეფასების ეფექტური მექანიზმები. 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამა ხელს უწყობს ძლიერ აკადემიურ მიღწევებს. თუმცა, ინდივიდუალურ კვლევებთან დაკავშირებული მენტორობისა და პროფესიული განვითარების დამატებითი შესაძლებლობების გაჩენა კიდევ უფრო გააძლიერებს სასწავლო პროცესს და სტუდენტთა მიღწევებს. 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ინფრასტრუქტურა და საბიბლიოთეკო რესურსები სათანადოა პროგრამის განხორციელებისათვის. რეკომენდებულია

რეგულარული ინვესტირება განახლებულ ციფრულ რესურსებსა და სპეციალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფებში. 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. არსებობს ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ასევე, პროცესები სტუდენტთა უკუკავშირის მოსაპოვებლად და გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების გასატარებლად. გუნდის დასკვნა და რეკომენდაცია გუნდის შეფასებით, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების უმეტესობას. რამდენიმე მიმართულებით მეტწილად შესაბამისობის სტატუსის გასაუმჯობესებლად საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება. გასაუმჯობესებელი სფეროები უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს პროგრამის ზოგად ხარისხზე, თუმცა საჭიროა მათი დახვეწა შეფასების მომდევნო ციკლისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას უნდა მიენიჭოს აკრედიტაცია სტანდარტული სააკრედიტაციო ვადით, და წარმოადგენს რეკომენდაციებს და რჩევებს შესაბამის სფეროებში პროგრამის დასახვეწად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ გაიცა 11 რეკომენდაცია, საიდანაც პროგრამული იყო მხოლოდ 2. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ითქვა, რომ მასში მოცემული საგნები კურიკულუმში გათვალისწინებულია შესაბამისი თემებით. გარდა ამისა, დაწესებულებას გააჩნია ბიზნეს ადმინისტრირების 240-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა და ბიზნეს ადმინისტრირების 180-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა. საბაზისო დონეზე ეს სასწავლო კურსები ისწავლება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი უფრო დეტალურად ჩაშლა. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს იმასთან დაკავშირებით, რომ ბიზნესის კვლევის მეთოდები სრულად უნდა ყოფილიყო, რათა ნათელი ყოფილიყო, რა განხორციელდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანჟელა აბულაძემ აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაციის თანახმად პროგრამაში უნდა ინტეგრირდეს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული ახალი კვლევითი მიგნებები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები, რათა მიმდინარე კვლევების შედეგები პირდაპირ აისახოს სასწავლო პროგრამის შინაარსში. უნივერსიტეტი დაიწყო იქიდან, რომ პარალელურად შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლის მთავარი მიზანია პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლიერება და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. პროგრამის შინაარსი რეგულარულად ახლდება უნივერსიტეტის კვლევითი პროექტების შედეგების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის უახლესი მეთოდების მიწოდებას. სტუდენტებისთვის მზადდება პრაქტიკული პროექტები, რომლებიც ეფუძვნება რეალურ კომპანიებზე ჩატარებულ უახლეს კვლევებს. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა ყოველწლიურად განახლდება უახლესი კვლევების მიხედვით, რათა სტუდენტებმა იმუშაონ თანამედროვე და აქტუალურ საკითხებზე. ასევე, ყოველწლიურად გადაიხედება და განახლდება ლიტერატურაც. ბოლო პერიოდში დაწესებულებამ გააფორმა მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ნაშრომის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების შეფასების ფორმალური მექანიზმის შემუშავებას. მოცემული რეკომენდაცია უნივერსიტეტმა უკვე გაიზიარა და შეიმუშავა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის შეფასების მეთოდები. შეფასება მოხდება ანონიმურად, სათანადო კითხვარის საფუძველზე. ასევე რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ნათლად გაწეროს ხელმძღვანელის შეცვლის პირობები და პროცედურები. დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული მაგისტრატურის დებულება, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას ნაშრომის ხელმძღვანელობაზე და შიდა არგუმენტირებული დებულებით მიმართოს სკოლის დეკანს. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია დროის ფაქტორი, რათა მაგისტრანტმა და ხელმძღვანელმა

დროულად შეძლონ რეაგირება. დაწესებულების წარმომადგენელმა ერაზმუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო ამ რეკომენდაციის გაუქმება, რადგან დაწესებულებას უკვე ჰყავს ერთი გამარჯვებული სტუდენტი, რომელიც სექტემბერში წავა ამ პროექტით. დაწესებულის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ერთი წლის განმავლობაში დაწესებულებამ გააფორმა მემორანდუმი 10 უნივერსიტეტთან, რაც გულისხმობს გაცვლებს როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია მონაწილეობა კონფერენციებში და ერთობლივი პროექტების შემუშავება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ რეკომენდაციებში მითითებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა დაიკავოს აკადემიური თანამდებობა. მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მარინე კობალავამ განმარტა, რომ თავად არ იყო აფილირებული უნივერსიტეტთან, თუმცა აკადემიური წესების შესაბამისად გეგმავს აფილირებას. ლევან შავაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, რათა გაეგო, რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა მაგისტრანტს სურს ხელმძღვანელის შეცვლა. მარინე კობალავამ აღნიშნა, რომ მაგისტრანტისა და ხელმძღვანელის უფლებები მოცემულია 6.6 პუნქტში, რომლის მიხედვითაც ორივე მხარეს შეუძლია კონკრეტულ ვადებში მიმართოს დეკანს ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:05
დასრულების დრო: 18:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 1 მარტამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 1 მარტამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

5. მეხუთე საკითხი:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო და "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის 1 - ის დასახელება: ეკოლოგია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეცნიერების ბაკალავრი ეკოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0521 - გარემოსმცოდნეობა
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის 2 - ის დასახელება: გამოყენებითი ეკოლოგია
საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0521 - გარემოსმცოდნეობა
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 50
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან აფთარაშვილმა და ბონდო გასვიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა, მან გამოგზავნა თავისი მიგნებები აღნიშნულ პროგრამების კლასტერთან დაკავშირებით, რომელიც სხდომაზე თარჯიმანმა გააჟღერა.
ექსპერტის თქმით, შეფასება განხორციელდა ეროვნული აკრედიტაციის სტანდარტებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და მოიცავდა პროგრამის დოკუმენტაციის სიღრმისეულ შეფასებას, დაწესებულებაში ვიზიტს, და ადმინისტრაციასთან,

პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან შეხვედრებს, აგრეთვე კურიკულუმის, სწავლების მეთოდებისა და სასწავლო გარემოს საფუძვლიან ანალიზს. მთლიანობაში, ორივე პროგრამას აქვს მკაფიო ძლიერი მხარეები - აღსანიშნავია, მოტივირებული პროფესორები და კვლევის ხელშემწყობი გარემო. თუმცა, შეფასების შედეგად ჯგუფმა გამოავლინა მნიშვნელოვანი გასაუმჯობესებელი სფეროები, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის გაზრდის, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისა და განვითარებად აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად. ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები მიზნად ისახავს არა მხოლოდ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, არამედ ეკოლოგიის განათლების სფეროში რეგიონის დონეზე თსუ-ს პროგრამების ლიდერთა შორის პოზიციონირებას. ჯგუფს სჯერა, რომ ამ ღონისძიებების გატარებით, თსუ მნიშვნელოვნად გააძლიერებს სწავლა-სწავლების ხარისხს. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას, და კლასტერის პოზიციონირებას საერთაშორისო დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ ჭელიძემ აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაციის მიხედვით საჭიროა მეტი გაძლიერება კავშირისა დამსაქმებლებთან და ხაზგასმული იყო საკონსულტაციო საბჭოს შექმნა. ბაზრის კვლევას დაწესებულება განიხილავს როგორც მუდმივ პროცესს, განსაკუთრებით ეკოლოგიის სფეროში. თსუ-ში ფუნქციონირებს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი, რომელშიც შედიან დასაქმებულები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები. კომიტეტი მუდმივია, ხოლო მისი წევრები პერიოდულად იცვლებიან. კომიტეტში მონაწილეობენ როგორც მოწვეული, ისე აკადემიური პერსონალი სხვადასხვა სფეროდან. მეორე რეკომენდაციის თანახმად, სწავლის შედეგები უნდა დაუახლოვდეს დარგის სტანდარტს. აღნიშნულთან დაკავშირებით იქნა განმარტებული, რომ სტანდარტი არის ჩაშლილი, ხოლო პროგრამის შედეგებიც სრულად შეესაბამება მას. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა შედეგების შეფასებას. დაწესებულებას ამ მიზნისათვის ერთ-ერთ სამიზნე საგნად ჰქონდა გამოყენებული „ტრადიციული და ალტერნატიული ეკოლოგიის პრობლემები“, რაც დაკავშირებული იყო შენიშვნებთან მონაცემთა ბაზებში მიმდინარე ეკოლოგიური ცვლილებების შესახებ. დაწესებულების პოზიციაა, რომ აღნიშნული საგანი არ იყო ერთადერთი, რომლის საფუძველზეც ხდებოდა შედეგების შეფასება. ყველა ზედმეტი საგნის დამატება სამიზნე ნიშნულში დაკავშირებულია შრომატევად პროცესთან. დაწესებულება მიიჩნევს, რომ ინფორმაციის მოპოვებისა და შენახვის პროცედურები შესაბამისობაშია. მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შესავალი მონაცემთა ბაზებში სავალდებულო საგნად არის პროგრამაში. ეკოლოგიური სისტემის მრავალგანზომილებიანობის გამო, მონაცემთა ბაზები საშუალებას იძლევა, რომ ინფორმაცია სტანდარტულად შენახული იყოს და მარტივად ხელმისაწვდომი გახდეს სხვა ქვეყნებისთვისაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა მურვანიძემ ბიოლოგიის კურსების დამატებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიკრობიოლოგიისა და მიკრობული ეკოლოგიის კურსები საბაკალავრო საფეხურზე საკმაოდ რთულია. მიკრობიოლოგია სავალდებულოა და ისწავლება მეშვიდე სემესტრში; მისი არჩევისთვის სტუდენტმა წინასწარ უნდა ჩააბაროს გენეტიკა და ციტოლოგია. პოპულარული ეკოლოგიის კურსის დამატება საინტერესო იყო, თუმცა მისი თემები უკვე იფარება „ეკოლოგიის საფუძვლებში“. ეკოსისტემური ეკოლოგიის კურსი კომპლექსურია, მაგრამ ის ჩაშლილია სხვადასხვა კურსებში. დაწესებულების წარმომადგენელმა პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ აღნიშნულ კურსში ძირითადი აქცენტი მონაცემების დამუშავებაზეა და სტუდენტს არ მოეთხოვება მათემატიკის ან მათემატიკური ანალიზის ცოდნა. თამარ ჭელიძემ მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს ერთიანი მიდგომა საბაკალავრო პროგრამებთან; ზოგადი განათლების

საგნები ერთნაირადაა წარმოდგენილი, ხოლო აკადემიური წერა არც ერთ პროგრამაში არ არის. მეშვიდე რეკომენდაციის მიხედვით, განსხვავება ქიმიასა და ქიმიის შესავალ კურსს შორის არის პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტების განსხვავება, ასევე განსხვავებულია ლიტერატურაც. მერვე რეკომენდაციის თანახმად, დაწესებულება ზოგიერთ საგანში ადგენს ზღვარს 25%-ზე, რაც რეგულაციით აუცილებელი არ არის. მეცხრე რეკომენდაცია ეხებოდა რთული სასწავლო კომპონენტების ჩართვას. ადმინისტრაციის შეფასებით, დღევანდელი მდგომარეობა კრიტიკული არ არის და რეკომენდაცია საჭირო არ არის, თუმცა შესაძლოა რჩევის სახით ფორმულირდეს. მეათე რეკომენდაციის მიხედვით, სტუდენტებს აქვთ სავალდებულო კურსი სასწავლო საველე პრაქტიკის სახით. კურსის გაფართოება დაცულ ტერიტორიებზე შეუძლებელია და კანონით აკრძალულია. მეთერთმეტე რეკომენდაციის ფარგლებში თამარ ჭელიძემ აღნიშნა, რომ სწავლებისა და სწავლების მეთოდები შეიძლება მოიცავდეს დისკუსიებს, დებატებს, პრეზენტაციებსა და სხვა აქტივობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას თუ როგორ მიმდინარეობდა პლაგიატთან დაკავშირებული პროცესი. მას, ასევე, აინტერესებდა, როდის, რომელ სემესტრში ხდება სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ოფიციალური დამტკიცება, შესაძლებელია თუ არა თემის ცვლილება და როგორ ხორციელდება ეს მექანიზმი. დაწესებულების წარმომადგენელმა ვაჟა ტრაპაიძემ განმარტა, რომ სწავლის დაწყებიდან, არაუგვიანეს გაზაფხულის სემესტრისა, საბჭო ამტკიცებს დოქტორანტის თემას და მის ხელმძღვანელს. სავარაუდო საკითხი სტუდენტთან წინასწარ შეთანხმებულია თემის დამტკიცებამდე. ცვლილება შესაძლებელია მთლიანი სათაურის ცვლილების სახით, რომელიც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე, ხოლო ვადა ბოლო სემესტრის დასაწყისამდეა. დოქტორანტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 სტატია გამოქვეყნებული, ერთი მათგანი მაღალრეიტინგულ ჟურნალში, რომელიც გამოიყენება სადისერტაციო ნაშრომში. პლაგიატი აღნიშნულიდან გამომდინარეობს. ექსპერტმა ციცინო თურქაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დაწესებულებისგან არგუმენტირებული პასუხი ვერ მიიღეს. დაცულ ტერიტორიებზე პროცესი მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად. დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, 2024 წელს შეიქმნა დარგობრივი მახასიათებელი, თუმცა ექსპერტებმა წინა წლებთან შედარებით ცვლილება ვერ დაინახეს.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატში პროცესს პროგრამა ვერ აცდება, შესაბამისად, რეკომენდაცია მისაღებია. ლაბორატორიულ მეცადინეობებში გამოცდაზე დაშვების ზღვარი არის 25%, რაც პრაქტიკაზე მეტ აქცენტს აკეთებს. თამარ ჭელიძემ განმარტა, რომ სტუდენტებს ყოველთვის აქვთ 25%-იანი ზღვარი. ექსპერტმა მაია აზმაიფარაშვილმა აღნიშნა, რომ ბევრ სილაბუსში სწავლის მეთოდები და შეფასების ფორმები ერთადაა წარმოდგენილი, რაც საფუძველი გახდა რეკომენდაციის დაწერისთვის. ციური დურულმა ექსპერტებს მიმართა საბაკალავრო პროგრამის 2.2 რეკომენდაციის შესახებ. მას აინტერესებდა, უნდა მიღწეულიყო პრაქტიკული უნარები მხოლოდ პრაქტიკული კომპონენტებით, თუ სხვა სწავლების გზითაც, და რომელი კომპონენტის დამატებაა საჭირო. ციცინო თურქაძემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე საბაკალავრო ნაშრომი ადრე არჩევითი იყო, ხოლო ახლა არჩევითი სახითაც არ არის. ძირითადი სწავლის შედეგები საველე პრაქტიკის და საკვანძო კურსების მეშვეობით მიიღება. დასკვნაში გადმოცემულია, რომელი საკითხები არ იფარება საველე პრაქტიკებით, რის საფუძველზეც გაიცა 2.2 რეკომენდაცია. მაია აზმაიფარაშვილმა აღნიშნა, რომ მუზეუმებთან არსებული მემორანდუმი შესაძლებელია გაფართოვდეს. საბჭოს წევრმა ნარგული ასანიძემ იკითხვა, რომ ბოტანიკის კურსის გავლის შემდეგ რამდენად შეძლებს სტუდენტ მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვა ტიპის იდენტიფიცირებას. მაკა მურვანიძემ განმარტა, რომ სასწავლო საველე პრაქტიკები სწორედ ამ

უნარებზეა ორიენტირებული; მათ ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ველზე გასვლა და პრაქტიკის ჩატარება. ნათია იორდანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაცულ ტერიტორიებზე პრაქტიკის ჩატარება უმნიშვნელოვანესია სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:39
დასრულების დრო: 19:57

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.

საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 14 აგვისტოს.
ყველა საკითხის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:00 სთ-ზე.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
წევრი
ნანობაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე